



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 12

19 თებერვალი 2018 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული პეტიციების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) შესაბამისად

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2017 წლის 11 დეკემბერს შემოსული (რეგისტრირებული 11.12..2017წ) პეტიციების განხილვის შედეგად მიღებულ იქნეს შემდეგი გადაწყვეტილება: ა) ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში სასმელი წყლის შადრევნების მოწყობა განხორციელდეს 2018 წელს; ბ).ქალაქ სენაკის მუნიციპალიტეტის ერთეულში, ჭყონდიდელის და სანაიას ქუჩებზე არსებული სკვერების რეკონსტრუქცია /რეაბილიტაცია განხორციელდეს 2019 წელს;. გ) სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე რიონის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე მცხოვრები მოქალაქეების ერთმანეთთან დამაკავშირებელი და ტვირთის გადამტანი მექანიკური საშუალების (ბორანის) რეკონსტრუქცია და ორივე სანაპიროს რეაბილიტაცია განხორციელდეს 2018-2019 წლებისათვის; დ) ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში ფალიაშვილილის და ძმები კანკავების ქუჩების დამაკავშირებელი 100 საფეხურიანი კიბის რეკონსტრუქცია/ რეაბილიტაცია განხორციელდეს 2018-2019 წლებში; ე) სენაკის მუნიციპალიტეტის ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის კაპიტალური ავზის მოწყობა განხორციელდეს 2019 წლისათვის.

2. დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენისას გაითვალისწინოს განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი სამუშაოების თანხების მოძიება.

3. დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლისათვის შესასრულებელი სამუშაოების დროული განხორციელება.

4. განკარგულების ასლი გადაეგზავნოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი

